22.02.2022წ.

მინდობილობა

მე მინდობილობის გამცემი: შპს „თენ“ (ს/კ:404891168) დირექტორი ირაკლი შენგელია პირადი #01006006560 (შემდომში „მინდობილობის გამცემი“) უფლებამოსილებას ვანიჭებ „მინდობილობის მიმღებს“ - ლევან ძაგნიძეს (პირადი #01002019473), მასზედ, რომ წარმოადგინოს „მინდობილობის გამცემის“, როგორც ქ. თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N14-ში, მდებარე მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდით: 01.14.05.008.158 მესაკუთრის ინტერესები ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებში, სსიპ „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში“, გააკეთოს განცხადება, მოიპოვოს ნებართვა აბრისა და მანიშნებლის განსათავსებლად, ზემოაღნიშნულ უწყებებში/ადმინისტრაციულ ორგანოებში წარადგინოს და გამოითხოვოს /მიიღოს ამ დავალების უზრუნველსაყოფად ნებისმიერი ხასიათისა და შინაარსის ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია, შეასრულოს ყველა ქმედება და პროცედურა, რაც განსაზღვრულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და აუცილებელია მინიჭებული უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელებისათვის.

მინდობილობა ძალაშია 2022 წლის 22 თებერვლიდან 2022 წლის 01 აპრილამდე.

პატივისცემით,

ირაკლი შენგელია
დირექტორი

შპსთენ
თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ.#14
საიდენტიფიკაციოკოდი: 404891168
ტელ.: (+995 32) 2302355/2302377
თიბისიბანკისმარჯანიშვილისფილიალი
ბანკისკოდი: TBCBGE22
ანგარიშის # GE10TB7708336080100001

თანხმობა

წინამდებარე თანხმობა დადებულია და ხელმოწერილია თბილისში, 2019 წლის __ მაისს.

<u>თანხმობის გამცემი მხარეები არიან</u> :

ფიზიკური პირი: ვეფხია ბერაძე (პ/ნ 01003004447) და ნელი ჩაკვეტაძე (პ/ნ 01024019485), წარმოდგენილი უფლებამოსილია წარმომადგენლის ვახტანგ გუგუნაძის (პ/ნ01024011798) სახით (თანახმად რწმუნებულება/მინდობილობისა დამოწმებული 05.09.2016წ. რ/რ N 161001334) შემდგომში წოდებული როგორც "მხარეები" და იურიდიული პირი შპს "თენ" (ს/კ 404891168) შემდგომში წოდებული როგორც შპს „თენ".

ვინაიდან და რადგანაც

ა) ქ.თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ #14-ში (ყოფილი ჯიქიას ქ. #10) მდებარე ბიზნეს-ცენტრის პირველ სართულზე არსებული 760 კვ.მ. სასაწყობე ფართი არის ფიზიკური პირების ვეფხია ბერაძის და ნელი ჩაკვეტაძის კერძო საკუთრება, ხოლო აღნიშნული უძრავი ქონების წითელ ხაზებში მოქცეული მიწის ნაკვეთი არის მხარეთა და შპს "თენ"-ის თანასაკუთრება;

ბ) "მხარეები" აცნობიერებენ, რომ ბიზნეს-ცენტრი არის მომიჯნავე უძრავი ქონების განაშენიანების რეგულირების გეგმით განსაზღვრული კომპლექსის ნაწილი, შესაბამისად მიმდებარე ტერიტორიაზე ხორციელდება ან/და მომავალში განხორციელდება ტერიტორიის კეთილმოწყობის, შენობაზე მიშენება-დაშენების, აგრეთვე სხვადასხვა სარემონტო და კეთილმოწყობის სამუშაოები.

<u>ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ცალკეული სამუშაოების განხორციელებას შესაძლოა დასჭირდეს უძრავი ქონების თანამესაკუთრეთა თანხმობა.</u>

<u>შესაბამისად, ვეფხია ბერაძე, ნელი ჩაკვეტაძე და შპს "თენ", როგორც უძრავი ქონების თანამესაკუთრეები ხელმოწერით ვადასტურებთ და ვიძლევით წერილობით თანხმობას შემდეგზე:</u>

1."მხარეები" უფლებას ვაძლევთ შპს "თენ"-ს (ს/კ 404891168), უძრავ ქონებაზე, რომლის მახასიათებლებია : ქ.თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, # 14 (საკადასტრო კოდი 01.14.05.008.158), განახორციელოს ნებისმიერი მოქმედება, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მიწის საკადასტრო საზღვრების (წითელი ხაზების) კორექტირებით, გამოკვეთით, დაყოფით, გამოყოფით, მეზობელ მიწის ნაკვეთთან მიერთებით, მშენებლობის ნებართვის გაგრძელებით ან ახალი ნებართვის აღებით, არქიტექტორულ პროექტში და/ან განაშენიანების გეგმაში ცვლილებების შეტანით ან ახალის აღებით, კოეფიციენტის მომატებით, ექსპლუატაციაში შეყვანით, შენობა-ნაგებობაზე მიშენებით, დაშენებით, სამშენებლო, სარემონტო ან/და დემონტაჟის სამუშაოების განხორციელებით, ტერიტორიის გაკეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელებით, ღობეების, ჭიშკრებისა და შლაგბაუმების მშენებლობითა ან/და მონტაჟით; ბიზნეს-ცენტრის სახურავზე მზის ელექტრო სადგურის მოწყობა/მონტაჟი და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის გამართვა/ექსპლუატაცია. ასევე ზემოაღნიშნული მიწის, ან/და მისი დანაყოფის, ან/და მასზე არსებული ფართების გასხვისებით, გაქირავებით, იპოთეკით,

სერვიტუტით და სხვა სახის ვალდებულებებით დატვირთვით, ან ცვლილებით, ან მოხსნით/შეწყვეტით. ასევე , შპს "თენ"-ს აქვს უფლება შეიმციროს ან გაიზარდოს აღნიშნული ქმედებების შედეგად უძრავი ქონების შესაბამისი წილი საერთო საკუთრებაში, რაც წარმოადგენს მიწის ნაკვეთის და საერთო საკუთრებაში არსებული შენობის ნაწილს; აგრეთვე ვიძლევით თანხმობას საჭიროების შემთხვევაში შპს თენ"-მა განახორციელოს შიდა აზომვითი ნახაზების შესაბამისად, მის საკუთრებაში არსებული ფართებზე ცვლილების/დაზუსტების რეგისტრაცი(ები)ა საჯარო რეესტრში;

შპს "თენ" (ს/კ 404891168) უფლებას აძლევს „მხარეებს" შეასრულოს სხვადასხვა კაპიტალური და მიმდინარე სარემონტო სამუშაოები. გააქირაოს, დატვირთოს იპოთეკით, გაასხვისოს და ჩაატაროს სხვა მოქმედებები, რომელიც არ ეწინააღმდეგება კანონს. აგრეთვე ვიძლევით თანხმობას საჭიროების შემთხვევაში „მხარეებმა" განახორციელოს შიდა აზომვითი ნახაზების შესაბამისად, მის საკუთრებაში არსებული ფართზე ცვლილების/დაზუსტების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში;

2. "მხარეები " და შპს "თენ" უფლებას ვაძლევთ ერთმანეთს შეასრულოთ ყველა ის მოქმედება, რომელიც კონკრეტულად მითითებული არაა ამ დოკუმენტში, მაგრამ საჭიროა ან/და ცალსახად კავშირშია პირველ პუნქტში მითითებული თანხმობის მიღებასთან და შესაბამისი დავალების შესრულებასთან.

3. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო და კერძო ორგანიზაცია ან/და დაწესებულება, ადმინისტრაციული და მუნიციპალური ორგანო, არასაკმარისად ჩათვლის ამ თანხმობას და მოითხოვს ცალკე თანხმობას ზემოთაღნიშნულ საკითხებზე, "მხარეები" და შპს „თენ" გავცემთ ცალკე თანხმობას.

ჩვენ "მხარეები"- ვეფხია ბერაძე (პ/ნ 01003004447), ნელი ჩაკვეტაძე (პ/ნ 01024019485), წარმოდგენილი უფლებამოსილია წარმომადგენლის ვახტანგ გუგუნაძის (პ/ნ01024011798) სახით (თანახმად რწმუნებულება/მინდობილობისა დამოწმებული 05.09.2016წ. რ/რ N 161001334) და შპს "თენ" (ს/კ404891168) ხელისმოწერით ვადასტურებთ ჩვენს თანხმობას.

<u>მხარეთა ხელმოწერები :</u>

ვეფხია ბერაძე პ/ნ 01003004447

ნელი ჩაკვეტაძე პ/ნ 01024019485

წარმოდგენილი მინდობილი პირის

ვახტანგ გუგუნაძის სახით

ვეფხია ბერაძე

ვახტანგ გუგუნაძე

შპს "თენ" (ს/კ404891168) დირექტორი

მიხეილ შომახია

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N190571237
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	22.05.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ბაჩანა შენგელია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა 13
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	243 11 46
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	90495872449719

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

2019 წლის 22 მაისს, **საქართველოს ნოტარიუს ბაჩანა შენგელიას**, სანოტარო ბიუროში, მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ზ.ფალიაშვილის ქ.#13, მომმართეს: **ვეფხია ბერაძემ, ვახტანგ გუგუნაძემ** და **მიხეილ შომახიამ**, რომლებმაც წარმოადგინეს თანხმობა ოთხ ეგზემპლარად და მოითხოვეს მასზე თავიანთი 24 ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

შევამოწმე მათი პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად მომმართეს: **ვეფხია ბერაძემ** (დაბ.18.05.1964წ. პ/ნ 01003004447, რეგ. მის: საქართველო, ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონი, კორპუსი ა, ბინა 306), **ვახტანგ გუგუნაძემ** (დაბ.17.09.1974წ. პ/ნ 01024011798, რეგ. მის: თბილისი ნ.რამიშვილის I ჩიხი N 7 ბ. 8) და **მიხეილ შომახიამ** (დაბ.25.12.1978წ. პ/ნ 01008003668, რეგ. მის: საქართველო, ქალაქი თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, N 51, კორპუსი 2, ბინა 19). შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა.

ხელმომწერებს განემარტათ, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს დოკუმენტის ტექსტის შესაბამისობას კანონმდებლობასთან და პასუხს არ აგებს მის შინაარსზე. შემდეგ მათ ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს ხელმოწერა, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური სულ: **58.64** აქედან: **48.00** ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 34-ე მუხლისა, დღგ: **8.64** ლარი; თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2.00 ლარი (დღგ-ს ჩათვლით) სანოტარო მოქმედების ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლის.

ნოტარიუსი ბაჩანა შენგელია

